

ბუნებრივი კონფლიქტებისა და რისკების შეფასება ლანდშაფტურ დაგეგმარებაში (სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე)

ლადო გრიგოლია

ელ-ფოსტა: ladogrigolia2@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3, საქართველო

მდგრადი განვითარება, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ერთერთი გამოწვევა, უკავშირდება მიზნებს, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობას. ამგვარ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მდგრადი ეკოლოგიური ვითარების უზრუნველყოფას, რაშიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ეკოლოგიურად ორიენტირებული ტერიტორიული ანუ ლანდშაფტური დაგეგმარება. იგი სივრცითი განვითარების და დაგეგმარების ევროპული გამოცდილებაა, რაც განმტკიცებულია ევროპის ლანდშაფტური კონვენციით. ლანდშაფტური დაგეგმარების მნიშვნელობა მატულობს რეგიონული და ლოკალური ინფრასტრუქტურული, სამეურნეო და ეკოლოგიური პროექტების განხორციელებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა თვალსაჩინოა ბუნებრივ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების პრობლემები.

პროექტის ძირითადი მიზანია წარმოვაჩინოთ ბუნებრივი კონფლიქტებისა (კლიმატური, გეოდინამიური, ჰიდროგენული, ბიოგენური, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური) და მასთან დაკავშირებული რისკების (ეროზიული, დენუდაციური, გამოფიტვის, გარემოს დეგრადაციის, გაუდაზნოების და სხვ.) გეოგრაფიული თავისებურებანი, მათი კომპლექსური შეფასების საფუძველზე მიღებული შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ლანდშაფტურ დაგეგმარებაში.

ლიტერატურა

- [1] ალფენიძე მ., სეფერთელაძე ზ., დავითაია ე., ხარაძე კ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ. 2009.
- [2] ალფენიძე მ., დავითაია ე. კოლხეთის შავიზღვისპირეთის რაციონალური ბუნებათსარგებლობის რეგიონალურ გეოგრაფიული საკითხები. “მეცნიერება და თანამედრო-ვეობა”, თბ. 2003.
- [3] ელიზბარაშვილი ნ, გამოყენებითი გეოგრაფია, 2016
- [4] მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, თბ., 1969; ნაწ.II, თბ., 1970.
- [5] საბაშვილი მ., საქართველოს სსრ ნიადაგები. თბ., 1965.
- [6] სამეგრელო (მ. არდიასა და ჭ. ჯანელიძის რედაქციით), თბილისი-ზუგდიდი, 1999.
- [7] საქართველოს ჰავა. ტ.3-სამეგრელო-ზემო სვანეთი. (ე.ელიზბარაშვილის, რ.სამუკაშვილის და ჯ.ვაჩნაძის რედაქციით). საქ. მეცნ. აკად. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ.113, 2010.
- [8] სამეგრელო (მ. არდიასა და ჭ. ჯანელიძის რედაქციით), თბილისი-ზუგდიდი, 1999.